მოსკოვი–თბილისი

გუშინ, 25 აპრილს, ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში მოსკოვისა და თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების სათადარიგო შემადგენლობებს შორის.

თბილისელებმა შეხვედრა შესანიშნავად ჩაატარეს და მოწინააღმდეგის კარში ოთხი ბურთი გაიტანეს, თავიანთ კარში კაი არც ერთი არ გაუშვიათ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შეხვერა სსრ კავშირის ჩემპიონ მოსკოვის "დინამოსა" და თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების ძირითად შემადგენლობებს შორის, რომელიც შესდგება დღეს ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე.

გუნდები მოედანზე გამოვლენ შემდეგი შემადგენლობით: მოსკოვი – ხომიჩი, სტანკევიჩი, რადიკორსკი, ლ. სოლოვიოვი, სემიჩასტნი, ბლინკოვი, ტროფიმოვი, კარცევი, ბესკოვი, მალიავკინი, ს. სოლოვიოვი; თბილისი – სანაია, პეხლევანიდი, კიკნაძე, ბერძენიშვილი, ფროლოვი, გაგუა, გავაშელი, პანიუკოვი, პაიჭაძე, ღოღობერიძე, ხარბედია.

მატჩის დასაწყისი 6 საათზე.

კომუნისტი 26 აპრილი, 1946 წ.